

საერთაშორისო კონვენციის ენობრივ-სტილისტური საკითხები და
თარგმანის პრობლემა

თამარ გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გიორგაძე

29.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეძღვნება იურიდიული დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემებსა და გამოწვევებს. ნაშრომში გაანალიზებულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ინგლისურ ენაზე შექმნილი კონვენცია ქართულ და ესპანურ თარგმანთან შეპირისპირების საფუძველზე. კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აუცილებელ და ძირითად მთარგმნელობით ტენდენციებს და პრობლემათა ანალიზს, ენობრივ-სტილისტური ასპექტების გამოვლენას, ტერმინების შინაარსობრივი სიზუსტისა და ექვივალენტობის დადგენას. ამასთანავე ნაშრომში შევხებით ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორც არის საქართველოში დარგობრივ თარგმანზე მომუშავე მთარგმნელთა კომპეტენცია და მათი როლი. განვიხილავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ თარგმანზე მუშაობისას სახელმძღვანელოდ დადგენილი პრინციპებისა და გაეროს მთარგმნელობითი სამსახურის მუშაობის სტილს.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული დოკუმენტი, ჟანრი და სტილი, ტერმინი, ცნება, ლექსიკური ეკვივალენტები, კალკი, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.

Abstract

The present study focuses on the problems and challenges of translating legal documents into Georgian language. The paper contrasts and analyzes the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities in English, with Georgian and Spanish translations. Significant time is devoted to research on necessary and basic translation trends and problem analysis, linguistic-stylistic aspects, difficulties in the content accuracy and equivalence of terms. In addition, in this paper we will touch a topical problem, such as the competence of translators working in the field of translation in Georgia and their roles. During translation we discuss the principles and style of work established by the UN Translation Service.

Keywords: legal document, genre and style, term, concept, lexical equivalents, lexical calque, the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს, სამაგისტრო კურსის მანძილზე მის მიერ შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და გვერდში დგომისთვის, მისი აკადემიური თუ ადამიანური რჩევა-რეკომენდაციებისთვის.

ამავდორულად მინდა განსაკუთრებით გამოვყო ჩემ მიერ არჩეული კურსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩემი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და განმტკიცებას. ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლესა და ოჯახის წევრებს, რომლებიც მუშაობის პროცესში სისტემატიურად მამხნევებდნენ, გვერდში მედგნენ და მხარს მიჭერდნენ.